



თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 63

„27“ ნოემბერი 2020 წ.

ქ. თელავი

თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „მოფუსმინოთ სამყაროსათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 122-ე მუხლის მე-4 პუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 08 დეკემბრის №669 დადგენილების 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების შესაბამისად,

1. მიეცეს თანხმობა თელავის მუნიციპალიტეტის მერს, ა(ა)იპ „მოფუსმინოთ სამყაროს“ (ს/კ 431178655) პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, 2 (ორი) წლის ვადით სარგებლობაში გადასცეს:
  - ა) ქ. თელავში, დავით რექტორის ქუჩა N8-ში მდებარე შენობა-ნაგებობის I სართულზე არსებული 219.6 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართი (საკადასტრო კოდი: 53.20.46.188);
  - ბ) ქ. თელავში, დავით რექტორის ქუჩა N8-ში მდებარე შენობა-ნაგებობის II სართულზე არსებული 219.6 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართი (საკადასტრო კოდი: 53.20.46.188).
2. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში, მისი ძალაში შესვლიდან 1 თვის ვადაში (მის: ქ. თელავი, დავით აღმაშენებლის №41).

საკრებულოს თავმჯდომარე



არჩილი თხლაშიძე